

შპს ასსეკო ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
5. ძირითადი საშუალებები	11
6. არამატერიალური აქტივები	12
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
8. გაცემული სესხები	13
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
10. გადახდილი ავანსები	13
11. ამონაგები	14
12. გაყიდვების თვითღირებულება	14
13. სხვა საოპერაციო ხარჯები	14
14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და შეფასებები	14
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარი

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	105,722	156,730
არმატორიული აქტივები	6	2,299,847	2,175,912
სულგრძელვადიანი აქტივები		2,405,569	2,332,642
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		3,070	3,070
გაცემული სესხები	7	343,297	317,617
საკაპიტროდ სხვა მოთხოვნები	8	283,076	381,598
გადახდილი ავანსები	10	121,203	218,175
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1,566,320	781,244
სულმიმდინარე აქტივები		2,316,966	1,701,704
სულაქტივები		4,722,535	4,034,346
კაპიტალი			-
საწესდებო კაპიტალი		2,146,170	2,146,170
გაუნაწილებელი მოგება/დგროვილი ზარალი		1,980,848	308,089
სულსაკუთარი კაპიტალი		4,127,018	2,454,259
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
საკაპიტროდ სხვა ვალდებულებები		408,678	344,386
მიღებული ავანსები		144,176	1,166,238
საგადასახადო ვალდებულებები		42,663	69,463
სულმიმდინარე ვალდებულებები		595,517	1,580,087
სულვალდებულებები		595,517	1,580,087
სულვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,722,535	4,034,346

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2021 წლის 28 სექტემბერი:

 დავით ბაზიშვილი
 დირექტორი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლო	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	11	4,915,737	4,046,986
გაყიდვების თვითღირებულება	12	(1,301,778)	(1,245,946)
საერთო მოგება		3,613,959	2,801,040
ხელფასები და სარგებელი		(1,601,954)	(1,667,807)
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	(163,719)	(130,408)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(224,330)	(364,614)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,623,955	638,211
ფინანსური შემოსავალი		25,680	43,498
სავალუტო ოპერაციების შედეგი		23,124	12,136
მოგება დაბეგვრამდე		1,672,759	693,845
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		1,672,759	693,845

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დგრევილი ზარალი	სულგაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	2,146,170	-385,756	1,760,414
წლის მოგება	-	693,845	693,845
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,146,170	308,089	2,454,259
წლის მოგება	-	1,672,759	1,672,759
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,146,170	1,980,849	4,127,019

ფულად ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ლარი

	შენიშვნა	2020	2019
ფულად ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება მოგების გადსახადის გადხდამდ კორექტირებები:		1,672,759	693,845
ცვეთა და ამორტიზაცია		163,719	130,408
ძირითად საშუალების გასვლა		4,733	494
ფინანსური შემოსავალი		(25,680)	(43,498)
საოპერაციო ფულად ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,815,532	781,249
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		98,522	(23,152)
გადახდილი ავანსების ზრდა		96,972	(71,425)
სიმფს შემცირება/ზრდა		-	(651)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება		64,292	(171,965)
მიღებული ავანსების ზრდა		(1,022,062)	532,132
საგადასახად ვალდებულებების ცვლილება		(26,800)	10,572
წმინდა ფულად ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,026,456	1,400,690
ფულად ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენა		(10,995)	(41,325)
არმატურალური აქტივების შეძენა/შექმენა		(230,369)	(835,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულად ნაკადი		(241,364)	(876,325)
ფულად ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების გაცემა		(4,270)	(235,600)
გაცემული სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება		-	48,900
წმინდა ფულად ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(4270)	(186,700)
სავალუტო ოპერაციების შედეგი ფულდსახსრებზე		4,254	
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულდსახსრებსა და მათ ექვივალენტებში		785,076	(337,665)
ფულ და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		781,244	443,579
ფულ და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		1,566,320	781,244

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ასსეკო ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“), ყოფილი შპს „ონიქს კონსალტინგი“, დარეგისტრირდა 2008 წლის 15 ოქტომბერს. 2013 წლის 9 აგვისტოს კომპანიის დასახელება შეიცვალა და გახდა შპს „ასსეკო ჯორჯია“. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მდებარეობს საქართველოში და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 204560965.

კომპანიის აქციონერები არიან: ASSECO POLAND S.A.-51%, ბართოლომიეი პიოტრ პაშკიევიჩი - 1%, დავით ბაზიერაშვილი - 23.20%, დავით კუპრაშვილი - 20%, გივი სართანია - 2.4%, გიორგი ონიანი - 2.4%.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობა მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას და სერვისის მიწოდებას.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., №7. საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL).

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მენეჯმენტს არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

შეფასების საფუძველები. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ყველა მაჩვენებელი მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ოპერაციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსით. უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაყვანიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარს და 1 ევრო = 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს).

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას სხვა კონტრაგენტს.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა.

სესხი. სასესხო მოთხოვნები, თავდაპირველი შეფასების შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის მიერ. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. მფლობელის მიერ კომპანიაში არაფულადი შენატანები ფასდება შეტანილი აქტივების რეალური ღირებულებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება გაიწევა, კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის გათვალისწინებით. დასრულების ეტაპი განისაზღვრება, როგორც ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხვედრითი წილი მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან მოიცავს:

- პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურებას,
- დეველოპმენტ სერვისს,
- პარტნიორი კომპანიების პროგრამების საინტეგრაციო სერვისს ადგილობრივ ბაზარზე
- მხარდაჭერის მომსახურებას დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფისთვის,
- საკუთარი ძალებით შექმნილი და პარტნიორი კომპანიების ლიცენზიების გაყიდვის საშუალებით.

შემოსავალი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გულისხმობს ინფრატრუქტურული აპარატურის მიწოდებას და ინსტალაციას დამკვეთის ლოკაციაზე.

გაყიდვების თვითღირებულება. გაყიდვების თვითღირებულება მოიცავს ლიცენზიების და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის თვითღირებულებას და ასევე მესამე მხარისგან შეძენილ იმ მომსახურებების ღირებულებას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შემოსავლების მიღებასთან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი. ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის მიხედვით ითვალისწინებს გარკვეული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას, რომელიც უცვლელია შესადარისი პერიოდების განმავლობაში. მენეჯმენტის მიერ შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივ საფუძველზე ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ცვეთის გაანგარიშება ხდება ცვეთის წრფივი მეთოდის საფუძველზე, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად.

სასარგებლო მომსახურების ვადები:

კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა
ავეჯი და სხვა ინვენტარი
იჯარით არებული შენობის კეთილმოწყობა

5
5
იჯარის პერიოდის
შესაბამისად

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები ფასდება თავდაპირველი ღირებულებებით, რაც შეძენილი აქტივებისთვის წარმოადგენს მათი შესყიდვის და მათ სამუშაო გარემოში გამართვასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. ხოლო საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივებისთვის მათ შექმნაზე გაწეულ შრომით და სხვა ტიპის დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მათი შექმნის პროცესს. ყველა აღნიშნული ხარჯი აკუმულირდება როგორც დაუსრულებელი კვლევა და განვითარების პროექტები და მაშინ, როდესაც პროდუქტი მზადაა გასაყიდად ან შიდა გარემოში გამოსაყენებლად, ხდება მისი არამატერიალურ აქტივად აღიარება. არამატერიალური აქტივები აღიარებულია ღირებულებას გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია განსაზღვრავს, დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის დასაშვებ დონეს, რომელიც შეადგენს 90 კალენდარულ დღეს. დასაშვებ ვადაგადაცილების დონეს განსაზღვრავს 90-დან 180 დღემდე. ხოლო 6 თვიდან 12 თვემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნებისთვის ქმნის 50%-იან საექვო მოთხოვნის რეზერვს. 12 თვის და მეტი ხანდაზმულობის შემთხვევაში 100%-იან რეზერვს.

საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი. იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღრიცხვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯები შედის ფინანსურ შემოსავალში/ხარჯებში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

5. ძირითადი საშუალებები

ღარი	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარითარებული შენობის კეთილმოწყობა	სულ
ფიქსირებული				
ფიქსირებული 2018 წლის 31 დეკემბერს	327,119	26,598	14,560	368,277
შეძენა	41,241	85	4,569	41,326
გასვლ	(12,787)			(12,787)
ფიქსირებული 2019 წლის 31 დეკემბერს	355,573	26,598	14,560	396,816
შეძენა	10,265	730		10,995
გასვლ	(14,542)			(14,542)
ფიქსირებული 2020 წლის 31 დეკემბერს	351,296	27,413	14,560	393,269
დარღილ ცვეთ				-
დარღილ ცვეთ 2018 წლის 31 დეკემბერს	182,424	9,994	3,055	195,473
პერიოდის ცვეთ	49,235	4,758	2,912	56,905
გასული ძირითად საშუალების ცვეთ	(12,292)			(12,292)
დარღილ ცვეთ 2019 წლის 31 დეკემბერს	219,367	14,752	5,967	240,086
პერიოდის ცვეთ	49,008	4,420	3,860	57,288
გასული ძირითად საშუალების ცვეთ	(9,827)			(9,827)
დარღილ ცვეთ 2020 წლის 31 დეკემბერს	258,548	19,172	9,827	287,547
წმინდა საბალანსოღილებუბა				-
2018 წლის 31 დეკემბერი	144,695	16,604	11,505	172,804
2019 წლის 31 დეკემბერი	136,206	11,931	8,593	156,730
2020 წლის 31 დეკემბერი	92,748	8,241	4,733	105,722

6. არამატერიალური აქტივები

ღარი	შეძენილი ლიცენზიები	საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფა	დაქარაუვებელი კვლევა და განვითარების პროექტები	სულ
ფილირებულება				
ფილირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	55,376	312,989	1,153,357	1,521,722
შეძენა/შექმნა		215,270	835,000	835,000
ტრანსფერი			(215,270)	-
გასვლა				-
ფილირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	55,376	528,259	1,773,087	2,356,722
შეძენა/შექმნა			230,369	230,369
ტრანსფერი				-
გასვლა				-
ფილირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	55,376	528,259	2,003,456	2,587,091
დგროვილი ამორტიზაცია				-
დგროვილი ამორტიზაცია 2018 წლის 31 დეკემბერს	44,709	62,598	-	107,307
პერიოდის ამორტიზაცია	10,667	62,836		73,503
გასული არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია				-
დგროვილი ამორტიზაცია 2019 წლის 31 დეკემბერს	55,376	125,434	-	180,810
პერიოდის ამორტიზაცია		106,434		106,434
გასული არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია				-
დგროვილი ამორტიზაცია 2020 წლის 31 დეკემბერს	55,376	231,868	-	287,244
წმინდა საბალანსოღრებულება				-
2018 წლის 31 დეკემბერი	10,677	250,391	1,153,357	1,414,415
2019 წლის 31 დეკემბერი	-	402,825	1,773,087	2,175,912
2020 წლის 31 დეკემბერი	-	296,391	2,003,456	2,299,847

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	283,076	381,598
სხვა მოთხოვნები		
სულსავაჭროდ სხვა მოთხოვნები	283,076	381,598

8. გაცემული სესხები

ლარი	2020	2019
ძირი თანხა	267,411	263,142
პროცენტი	75,886	54,475
სულგაცემული სესხები	343,297	317,617

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2020	2019
ფულადი სალაროები	25,649	25,649
ფულადი ბანკში	1,540,671	755,595
სულფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,566,320	781,244

10. გადახდილი ავანსები

ლარი	2020	2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	121,203	218,175
ავანსადგაცემული ხელფასები	-	-
სულფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	121,203	218,175

11. ამონაგები

ლარი	2020	2019
შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,908,911	4,046,986
შემოსავალი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან	6,826	-
სულამონაგები	4,915,737	4,046,986

12. გაყიდვების თვითღირებულება

ლარი	2020	2019
პროგრამული უზრუნველყოფის თვითღირებულება	630,809	919,863
ინფრასტრუქტურული პროექტების თვითღირებულება მესამე პირთა სერვისები	-	-
	670,969	326,083
სულგაყიდვების თვითღირებულება	1,301,778	1,245,946

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2020	2019
ოფისის იჯარა	46,321	112,809
კომუნიკაციის ხარჯი	104,999	105,315
მხარდაჭერის მომსახურება	19,086	18,220
კომუნალური ხარჯები	3,990	15,960
ავტომობილის საიჯაროქირა და საექსპლუატაციო ხარჯი	727	6,647
მივლენება	-	4,902
საკონსულტაციო მომსახურება	7,425	7,852
კომპიუტერული ხარჯი	1,777	2,945
ძირითადი საშუალების გასვლა	4,733	495
ჯარიმები და საფასვები	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	35,272	89,469
სულსხვა საოპერაციო ხარჯები	224,330	364,614

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში დაკორექტირებას ან განმარტებას მოითხოვდა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	105,722	156,730
არამატერიალური აქტივები	6	2,299,847	2,175,912
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,405,569	2,332,642
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები			
გაცემული სესხები	7	3,070	3,070
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	343,297	317,617
გადახდილი ავანსები	10	283,076	381,598
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	121,203	218,175
სულ მიმდინარე აქტივები		1,566,320	781,244
სულ აქტივები		4,722,535	4,034,346
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			-
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		2,146,170	2,146,170
სულ საკუთარი კაპიტალი		1,980,848	308,089
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		408,678	344,386
მიღებული ავანსები		144,176	1,166,238
საგადასახადო ვალდებულებები		42,663	69,463
სულ მიმდინარე ვალდებულებები		595,517	1,580,087
სულ ვალდებულებები		595,517	1,580,087
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,722,535	4,034,346

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2021 წლის 28 სექტემბერი:

დავით ბაზიერაშვილი
დირექტორი